

შპს „ვაზი+“
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. თბილისი
2019 წ.

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფულის მოძრაობის ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	
1 ზოგადი ინფორმაცია	8
2 წარდგენის საფუძვლები	8
3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა	9
4 ძირითადი საშუალებები	15
5 არამატერიალური აქტივები	16
6 ფული და ფულის ექვივალენტები	16
7 სავაჭრო და მოკლევადიანი მოთხოვნები	16
8 მარაგები	16
9 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
10 სესხები	17
11 ამონაგები	17
12 თვითღირებულება	17
13 მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები	17
14 სხვა ხარჯი	17
15 ზოგადი დაადმინისტრაციული ხარჯები	18
16 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების კომპონენტები	18
17 ფინანსური ხარჯი	18
18 მოგების გადასახადი	18
19 ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	19
20 პირობითი ვალდებულებები	20
21 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	21

შპს „ვაზი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენ	31.12.2018წ.	31.12.2017წ.	01.01.2017 წ.
მიმდინარე აქტივები				
ნაღდი ფული სალაროში	6	362.62	4604.05	0
ფული საბანკო ანგარიშებზე	6	29992.37	26105.3	54969.34
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	7	439662.75	314499.91	292621.74
სხვა მიმდინარე აქტივები	7	29100.14	-382.07	40020.36
მომავალში ჩასათვლედი დღგ ლიზინგი	7	140744.09	0	0
სულ მიმდინარე აქტივები		639861.97	344827.19	387611.44
სასაქონლო მატერიალური მარაგი				
საქონელი	8	419507.5	44320.11	77593.23
დაუმთავრებელი წარმოება	8	39511.72	18106.58	18184.38
ღვინო მასალები	8	1286129.97	631689.93	582462.9
მაკომპლექტებული ნაწილები	8	96391.21	45749.35	46721.42
ტარა	8	243657.19	53448.53	58029.81
ტარამასალები	8	12348.88	12383.63	12383.63
მზა პროდუქცია	8	3365.55	7406.83	440.34
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	8	28174.78	9616.62	6367.64
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი		2129086.8	822721.58	802183.35
გრძელვადიანი აქტივები				
მიწის ნაკვეთები	4	4134263.3	3560.7	3560.7
დაუმთავრებელი მშენებლობა	4	29686	6936	6936
შენობები	4	906082.09		
ნაგებობები	4	602138.01	7162.2	7560.1
მანქანა-დანადგარები	4	1973945.34	46802.69	60111.15
ოფისის აღჭურვილობა	4	33912.02	2007.07	3278.22
ავეჯი და სხვა ინვენტარი	4	23047.01	3267.9	5273.19
სატრანსპორტო საშუალებები	4	16413.64	12185.01	12571.56
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	4	0	45507.57	54339.72
გრძელვადიანი ინვესტიციები	4	9724.7	3133955.39	51986.26
არამატერიალური აქტივები	5	23830.85	14714.19	17970.55
სულ გრძელვადიანი აქტივები		7753042.96	3276098.72	223587.45
სულ აქტივები		10521991.73	4443647.49	1413382.24
კაპიტალი და ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	9	42039.55	-20319.7	309961.89
გადასახდელი ხელფასები	9	1747.46	0	51374.87
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	9	0.45	0.45	0.45
ვალდებულებები მეკავშირე საწ-ების წინაშე	10	7938.17	7938.17	7938.17
გადასახდელი წილის/აქციის ღირებულება	10	1026014.39	2816036.47	
მოკლევადიანი სესხები	10	4705533.36	1147122.65	411679.44
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	10	-11798	0	
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	9	2400	3884.14	14811.22
ქონების გადასახადი	9	18884.95	-0.47	
მიწის გადასახადი	9	9315.24	0.3	
გადასახდელი პროცენტები	10	329673.71	10852.32	
სულ მიმდინარე ვალდებულებები		6131749.28	3965514.33	795766.04
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე		922838.44	0	0
გრძელვადიანი სესხები	10	2007573.61	0	0

გადავადებული მოგების გადასახადი	18	147254.59	0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3077666.64	0	0
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი				
სარეზერვო კაპიტალი		33600	33600	33600
გაუნაწილებელი მოგება		136440.02	136440.02	136440.02
სულ საკუთარი კაპიტალი		1142535.79	308093.14	447576.18
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1312575.81	478133.16	617616.2
		10521991.73	4443647.49	1413382.24

დირექტორი:



გიორგი ქოიავა

მთავარი ბუღალტერი:



ნანა ნაცვლიშვილი


თარიღი:

10.09.19.

შპს „ვაზი“
მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლების ანგარიშგება
2018 წელი

დასახელება	შენ	2018 წ.	2017 წ.
შემოსავლები			
შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან	11	502188.64	592490.13
შემოსავალი არასაოპერაციო საქმიანობიდან	11	232477.34	37724.92
სხვა შემოსავალი (გუდვილი)	11	2387193.55	
სულ შემოსავლები		3121859.53	630215.05
მარაგები			
მარაგები პერიოდის დასაწყისში	12	822721.58	802183.35
მარაგები პერიოდის ბოლოს	12	2129086.8	822721.58
მარაგების შეძენა	12	1479050.12	290575.56
თვითღირებულება	12	172684.9	270037.33
ხარჯები			
შრომის ანაზღაურება	15	406460.73	177817.81
წყლის ხარჯები	15	13067.89	5929.86
ბანკის მომსახურება		15437.91	828.61
ლაბორატორიული ხარჯები		4058.92	1369.06
ელ. ენერგია	15	21722.03	14679.65
ბუნებრივი აირი	15	3626.24	3925.42
საწვავის ხარჯი	13	16076.04	1787.89
საკომუნიკაციო მომსახურება		3344.33	1244.66
კომუნალური მომსახურება	15	1546.32	1546.32
ავტო.მანქანის მიმდინარე ხარჯი.	13	1749.66	453.8
სხვა მომსახურება		35138.99	8009.24
იჯარა		21619.37	63915.14
დაზღვევა		5407.07	
კომპიუტერის ხარჯი		1230	
საკონსულტაციო ხარჯები	15	15784.26	
ცვეთა და ამორტიზაცია	15	177072.4	35550.79
სხვა საგადასახადო ხარჯი	15	33322.47	5254.15
სამივლინებო ხარჯები		25595.87	1170
ბიოლოგიურ აქტივზე გაწეული ხარჯი		141644.82	
კონკურსი და გამოფენები	13	29105.97	5961.82
სესხის საპროცენტო ხარჯი	17	508991.1	47830.78
სხვა ხარჯები		11427.07	5382.11
არასაოპერაციო ზარალი (საკურსო სხვაობა)	17	426158.05	117003.65
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	17	47889.88	
სულ ხარჯი		1967477.39	499660.76
მოგება/ზარალი		981697.24	-139483.04
მოგების გადასახადი		147254.59	
წმინდა მოგება		834442.65	

დირექტორი:
მთავარი ბუღალტერი:




გიორგი ქოიავა
ნანა ნაცვლიშვილი

შპს „ვაზი“
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2018 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრამდე

ფულის ნაშთი პერიოდის დასაწყისში		
საოპერაციო შემოსავლები	30 709	54969.34
არასაოპერაციო შემოსავლები	362719	631816.02
სულ შემოსავლები	21160	0
შესყიდვები	383879	631816
საქონელი და მომსახურება		
სულ ძირითადი პროდუქტის შესყიდვაზე გადახდილი თანხა	1791425	720155.02
სულ პირდაპირი ხარჯები	1791425	720155
საბიუჯეტო ვალდებულებები		
მიწის იჯარა	38015	78609.97
ხელფასი	1521	1521
საბაჟო მომსახურებები	346667	174019.87
დღგ იმპორტზე	7893	1104
კომუნალური გადასახადები	26132	0
საკომისიო გადასახადები	51486	0
გადაფასება და კურსთა შორის სხვაობა	17371	0
სამივლინები ხარჯები	31063	8806.19
საწვავი	13154	1170
დაზღვევა	29625	0
სულს აოპერაციოხარჯები	4165	0
საინვესტიციოგასავლები	567093	265231
შენობის, მიწის შესყიდვა		
ძირითადი აქტივების შეძენა	204583	0
ლიზინგის მიმდინარე ნაწილი და პროცენტი	625951	0
კაპიტალური რემონტი	154418	0
სხვა საინვესტიციო გასავლები წილის შესყიდვაში კაპიტალი	92651	0
სულ საინვესტიციო გასავლები	1715819	365333.77
ფინანსური საქმიანობა	2793421	365334
შემოსავალი		
სუბსიდია		
სხვა ბანკის სესხი	52650	0
დამფუძნებლის სესხი	1616214	0
სულ ფინანსური აქტივების განმიღებული თანხა	4261411	1347550.6
გასავლები	5930275	1347551
სესხის %-ის დაფარვა		
სესხის გასტუმრება ძირითადი	123862	34957.54
სულ ფინანსური აქტივების განგასული თანხა	1038707	617949.45
სულ ფინანსური საქმიანობიდან გასული თანხა	1162569	
	2325138	652907
ფულის ნაშთი პერიოდის ბოლოს	30355	30709

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:



გიორგი ქოიავა

ნანა ნაცვლიშვილი

შპს „ვაზი“
საკუთარიკაპიტალისცვლილებისანგარიშგება
2018 წელი

დასახელება	კომპანიის კაპიტალი	რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 01 იანვარი 2017 წ.	33600	136440.02	447576.18	617616.2
საანგარიშგებოს წინა წლის ზარალი				
ნაშთი 01 იანვარი 2018	33600	136440.02	-139483.04	-139483.04
			308093.14	478133.16
საანგარიშგებო წლის მოგება				
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	33600	136440.02	834442.65	834442.65
			1142535.79	1312575.81

დირექტორი:


გიორგი ქოიავა

მთავარი ბუღალტერი:

ნანა ნაცვლიშვილი

თარიღი:

10.09.19.


ნაცვლიშვილი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ვაზი“ (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 1998 წლის 18 მარტს, მცხეთის რაიონის სასამართლოს მიერ, სუვენირული ღვინოების მინი ქარხანა ვაზისა (ს/ნ 236036570) და შპს „კოლოტი“-ს (ს/ნ 236037374) შერწყმის შედეგად, სარეგისტრაციო 46/4-6-98 და მიენიჭა საიდენტიფიკაციო კოდი: 236047023.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია გივი გიგინეიშვილი (პ/ნ 01008016841).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

1. საქართველოს ტერიტორიაზე მის საკუთრებაში არსებულ და, ასევე, იჯარით აღებულ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე სხვადასხვა ჯიშის ვაზის კულტურის მოშენება და მაღალი ხარისხის ყურძნის მოსავლის მიღება;
 2. საკუთარი ვენახებიდან და, ასევე, სხვადასხვა პირებისაგან შესყიდული ყურძნისგან მაღახარისხოვანი ღვინოს წარმოება და რეალიზაცია;
 3. მაღალალკოჰოლური სასმელების (ჭაჭა, ბრენდი) წარმოება და რეალიზაცია.
- კომპანიის იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, ზაჰესი, წინამძღვრიშვილის ქ.4

კომპანიის დირექტორია გიორგი ქოიავა (პ/ნ 01024026170);

კომპანიის მთავარი ბუღალტერია ნანა ნაცვლიშვილი.

2. წარდგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჟოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასსს) შესაბამისად“).

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, ათასებში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა კრიტიკული შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენების ზოგადი პირობები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც მოქმედია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

კომპანია შეადგინა საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის პერიოდში, თუმცა ის არ იყო შედგენილი მსს ფასს სტანდარტების მიხედვით. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს მსს ფასს სტანდარტების შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც შეადგენდა:

დასახელება	31 დეკემბერი 2018 წელი	31 დეკემბერი 2017 წელი
1 აშშ დოლარი/ლარი	2.6766	2.5922
1 ევრო/ლარი	3.0701	3.1044

2017 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.5922 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 3.1044 ლარს; 2018 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6766 ლარი, ერთი ევრო 3.0701 ლარი. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით. საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები. მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად. მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას შემცირებადი ნაშთის მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ძირითადი საშუალების ჯგუფი
შენობები და ნაგებობები
მანქანა დანადგარები
საოფისე ავეჯი და ინვენტარი
კომპიუტერული ტექნიკა
ავტომობილები
მსხმოიარე ბიოლოგიური აქტივი
სასოფლო სამეურნეო ტექნიკა
იჯარით აღებული ქონების
კეთილმოწყობა

სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)

10-30 წელი

3-10 წელი

5-7 წელი

3-5 წელი

7-10 წელი

30 წელი

5-10 წელი

იჯარის ვადისა და აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესი.

3.4 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

3.5 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარის ვადის დასაწყისში მოიჯარემ ფინანსური იჯარა უნდა აღიაროს როგორც აქტივები, საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით გაუთვალისწინებელი (თავდაპირველი) ხარჯების დამატებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შესაბამისი თანხა აღიარებულ უნდა იქნეს ფინანსური იჯარის ვალდებულებად, იმის მიუხედავად რომ, ზოგიერთი საიჯარო გადასახდელები გადასახდელია იჯარის გაცემის დღიდან. ფინანსური იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების შემდგომი აღრიცხვა, მაგალითად ცვეთის მეთოდი და სასარგებლო მომსახურების ვადა, შეესაბამება კომპანიის მიერ იურიდიულად ფლობილ შესადარის აქტივებს. შესაბამისი ფინანსური იჯარის ვალდებულება მცირდება საიჯარო გადასახდელებს გამოკლებული საპროცენტო დანახარჯით, რომელიც აღიარდება ფინანსურ ხარჯად. საიჯარო გადასახდელების საპროცენტო ელემენტი წარმოადგენს მუდმივ პროპორციას, საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულებების ნაშთის მიმართ და ხარჯად აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც იქნება გაწეული. ყველა სხვა იჯარა აღიარებულია როგორც საოპერაციო იჯარა. გადახდები საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად აღიარებულია ხარჯებში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა შენახვის და სადაზღვევო ხარჯები, აღიარდება როგორც გაწეული ხარჯი.

3.6 სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას. სასაქონლო

მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება ფიფო მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

3.7 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწერა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ რისკს და სარგებელს. ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებით გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები თავდაპირველი შეფასების შესაბამისად დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- სესხები და მოთხოვნები;
- სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას სხვადასხვა კატეგორიებს მიეკუთვნება მათი მახასიათებლებისა და დანიშნულების შესაბამისად. ფინანსური ინსტრუმენტის დაყოფა კატეგორიებად შეესაბამება, იმას თუ, მისგან გამოწვეული შემოსავალი ან ხარჯი აისხება მოგება-ზარალში თუ სხვა სრულ შემოსავალში. ზოგადად, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით. აქტივის გაუფასურების შეფასება ხდება სულ მცირე ერთხელ საანგარიშგებო პერიოდში. ყველა შემოსავალი და ხარჯი, დაკავშირებული ფინანსურ აქტივთან აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შესაბამის პუნქტად “ფინანსური ხარჯი”, “ფინანსური შემოსავალი” ან სხვა “ფინანსური ხარჯი”, გარდა სავაჭრო მოთხოვნების საექვო ნაწილისა, რომელიც წარმოდგენილია სხვა არასაოპერაციო ხარჯების სახით.

ა) სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე და მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, აგრეთვე ფულს ხელზე და საბანკო ანგარიშებზე.

ბ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. შემდგომში ისინი ასახულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები, მისი გაკოტრება ან მისი მხრიდან გადახდების პრაქტიკის მნიშვნელოვანი გაუარესება არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი იმისა, რომ მოთხოვნა გაუფასურებულია. გაუფასურების ოდენობა განისაზღვრება აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობით. საანგარიშგებო პერიოდის

განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა ის მოთხოვნა, რომლის თანხის ამოღებაც მოსალოდნელი არ არის, პირდაპირ მოგება-ზარალში ჩამოიწერება ხარჯად.

გ) ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე, ფულს საბანკო ანგარიშზე, და ფულს გზაში.

ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭროდ გამიზნულ ფინანსურ აქტივებს და აგრეთვე იმ ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც თავდაპირველი აღიარებისას კომპანია აკლასიფიცირებს ამ კატეგორიაში. განმარტების თანახმად, ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ აკმაყოფილებს ჰეჯირების აღრიცხვას, მიეკუთვნება ამ კატეგორიას. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც მიიღება წარმოებული ფინანსური აქტივებიდან, რომელიც აქტიურ ბაზარზე განისაზღვრება საბაზრო გარიგებების შედეგად, ეფუძნება რეალურ ღირებულებაში ცვლილებას, ხოლო არააქტიურ ბაზარზე, შეფასების მოდელის გამოყენებას. ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

დ) სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებების პირველადი აღიარება ხდება სესხის გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. სხვაობა წარმოშობილი მის რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აისახება პერიოდის მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი მიღებულია აქციონერისგან. ამ შემთხვევაში სხვაობა წარმოშობილი რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. საწყისი აღიარების შემდეგ, სასესხო ვალდებულებები წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, ხოლო სხვაობა წარმოშობილი მის თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება პერიოდის მოგება-ზარალში. სესხთან დაკავშირებული პროცენტი და სხვა დანახარჯები აღიარდება ფინანსურ ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დანახარჯები პირდაპირ მიეკუთვნება განსაკუთრებული აქტივის შეძენას, შექმნას ან წარმოებას, ამ შემთხვევაში ეს დანახარჯები კაპიტალიზირდება განსაკუთრებული აქტივის საბალანსო ღირებულებაში იი სავაჭრო და სხვა ვალდებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

3.8 გაუფასურება

გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, აქტივების დაჯგუფება ხდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც არსებობს მეტწილად დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოღინებები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). შედეგად, ზოგიერთი აქტივის ტესტირება გაუფასურებაზე ხდება ინდივიდუალურად, ხოლო ზოგიერთი მათგანის ტესტირება ხდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დონეზე. ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება აქტივებს, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადა, არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მათი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიაწინებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აისახება, იმ თანხით რა თანხითაც, აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ,

გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება. იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა. ფინანსური აქტივების გაუფასურება ყოველ საანგარიშგებო პერიოდში რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით, ფასდება გაუფასურების მაჩვენებლებზე. ფინანსური აქტივების გაუფასურება ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ ერთი ან რამდენიმე შემთხვევის მოხდენის ალბათობა, ინვესტიციის სამომავლო ფულად ნაკადებზე მოახდენს გავლენას. ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისთვის, გაუფასურება წარმოადგენს აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობას. ყველა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, სადაც საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით. სავაჭროდ გამიზნული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდა და ეს შემცირება შესაძლებელია ობიექტურად დაკავშირებულ იქნას გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ შემთხვევასთან, წინა პერიოდში აღიარებული გაუფასურების ზარალი აისახება მოგება ზარალზე იმ პირობით, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება გაუფასურების თარიღისთვის არ გადააჭარბებს აქტივის ამორტიზირებად ღირებულებას, გაუფასურების არ აღიარების შემთხვევაში. სავაჭროდ გამიზნული ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში, რეალური ღირებულების ნებისმიერი მატება შემდგომი გაუფასურებით, უნდა აღიარდეს კაპიტალში.

3.9 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით. აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა. გადაფასების რეზერვი მოიცავს მიწისა და შენობების გადაფასებიდან მიღებულ მოგებას/ზარალს.

3.10 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას. გადავადებული გადასახადი აღიარდება დასაბეგრი მოგების გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებულ აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრ ბაზებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებებს შორის არსებულ ყველა დროებით განსხვავებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ზოგადად აღიარდება ყველა დასაბეგრ სხვაობებზე. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება. მსგავსი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება, თუ წარმოქმნილი დროებითი განსხვავება წარმოიშვა გუდვილიდან, ან აქტივებისა და ვალდებულებების პირველადი აღიარებიდან (გარდა საწარმოთა გაერთიანებისა), რომელიც იმყოფება გადაცემის პროცესში და არ აქვს გავლენა, არც დასაბეგრ, და არც სააღრიცხვო მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო აქტივის საბალანსო

ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება და თუკი აღმოჩნდება, რომ აღარ არის მოსალოდნელი, რომ კომპანია მიიღებს იმდენ დასაბეგრ მოგებას, რაც საჭიროა აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად ან ნაწილობრივ რეალიზებისათვის, მაშინ მისი საბალანსო ღირებულება შესაბამისად მცირდება. გადავადებული მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ ძალაში იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებისა და აქტივის საზომად გამოდგება საგადასახადო შედეგები, რომლებიც თანხვედრაში იქნებოდა კომპანიის მოლოდინებთან, რათა აინაზღაუროს ან გადაწყვიტოს საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოს.

3.12 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდათმობები და კომპანიის მიერ დაშვებული სხვა შეღავათები. შემოსავალი შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდათმობებით და სხვა მსგავსი შეღავათებით. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ გადასცა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული შემოსავალი შემოვა კომპანიაში; და ოპერაციასთან დაკავშირებული დარიცხული და დასარიცხი ხარჯები• საიმედოდ იქნეს შეფასებული.

3.13 ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე საადრიცხო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

3.14 ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები

ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის, ფულადი სახსრების ექვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფულადი სახსრების ექვივალენტები უფრო მეტად გამიზნულია მოკლევადიან ვალდებულებათა შესასრულებლად, ვიდრე ინვესტიციებისათვის ან სხვა მიზნით. კომპანიის მიერ ინვესტიცია კლასიფიცირდება როგორც ფულადი სახსრების ექვივალენტი, თუ იგი ადვილად გაცვლადია წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

4. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებების მოძრაობა 2018 წელს ხდებოდა შემდეგნაირად:

ა)

დასახელება	მიწა	შენობები	ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა
01.01.2017	3560.7	0	7560.1	60111.15	3278.22
შემოსვლა				600.14	22.12
ცვეთა	0		397.9	13908.6	1293.27
31.12.2017	3560.7	0	7162.2	46802.69	2007.07
შემოსვლა	4130702.6	946620.67	637989.75	2029872.41	40972.93
გასვლა	0	0	3818.75	25853.01	4647.43
ცვეთა	0	40538.58	39195.19	76876.75	4420.55
31.12.2018	4134263.3	906082.09	602138.01	1973945.34	33912.02

ბ)

დასახელება	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით არებული ქონების კეთილმოწყობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი
01.01.2017	12571.56	54339.72	6936	5273.19
შემოსვლა	2756.44	2138.91	0	575.32
ცვეთა	3142.99	10971.06		2580.61
31.12.2017	12185.01	45507.57	6936	3267.9
შემოსვლა	7371.62	4588.39	115256.07	25425.14
გასვლა	0	46274.34	92506.07	351.18
ცვეთა	3142.99	3821.62	0	5294.85
31.12.2018	16413.64	0	29686	23047.01

5. არამატერიალური აქტივები

კომპანიას გააჩნია არამატერიალური აქტივები, რომლებიც დაკავშირებულია ღვინისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების წარმოებასთან:

	01.01.2017	ცვლა	31.12.2017	შემოსვლა	ცვლა	31.12.2018
პანეტნები, სასქონლო ნიშანი.ლიცენზია,ტექნოლოგიური რეგლამენტი	17970.55	3256.36	14714.19	12898.53	3781.87	23830.85
სულ	17970.55	3256.36	14714.19	12898.53	3781.87	23830.85

6. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2018 წ.	31.12.2017 წ.
ნაღდი ფული სალაროში	362.62	4604.05
ფული საბანკო ანგარიშებზე	29992.37	26105.3
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	30354.99	30709.35

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წელს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2018 წ.	31.12.2017 წ.
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	439662.75	314499.91
სხვა მიმდინარე აქტივები	29100.14	-382.07
მომავალში ჩასათვლედი დღგ ლიზინგი	140744.09	0
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	609506.98	314117.84

8. მარაგები

კომპანიის მარაგების მოძრაობა 2018 წელს გამოიყურებოდა შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2017 წ.	შეძენა	შემოვიდა წარმოებიდან	ჩაეშვა წარმოებაში	გასვლა(რეალიზაცია)	31.12.2018 წ.
საქონელი	44320.11	225	498640.57	123678.18	0	419507.5
ნედლეული და მასალები	743271.44	1148886.57	1404948.61	1638626.88	19952.49	1638527.25

დაუმთავრებელი წარმოება	18106.58	192097.52	74001.49	244693.87	0	39511.72
მზა პროდუქცია	7406.83	0	148691.13		152732.41	3365.55
სხვა მარაგები	9616.62	137841.03	1846.24	121129.11	0	28174.78
სულ მარაგები	822721.58	1479050.12	2128128.04	2128128.04	172684.9	2129086.8

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 2018 წლის მდდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2018 წ.	31.12.2017 წ.
სავაჭრო ვალდებულებები	42039.55	-20319.7
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	1747.91	0.45
საგადასახადო ვალდებულებები	30600.19	3883.97
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	74387.65	-16435.28

10. სესხები

კომპანიას საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის გააჩნია შემდეგი სასესხო ვალდებულებები:

დასახელება	31.12.2018 წ.	31.12.2017 წ.
საბანკო სესხები	2007573.61	0
პარტნიორის სესხები	4687701.42	1100314.45
სხვა	17831.94	46808.2
	6713106.97	1147122.65

11. ამონაგები

დასახელება	31.12.2018 წ.	31.12.2017 წ.
პროდუქციის რეალიზაცია	502188.64	592490.13
სხვა შემოსავალი	2619670.89	37724.92
სულ	3121859.53	630215.05

12. თვითღირებულება

დასახელება	31.12.2018 წ.	31.12.2017 წ.
საწყისი მარაგები	822721.58	802183.35
შესყიდვები	1479050.12	290575.56
საბოლოო მარაგები	2129086.8	822721.58
სულ თვითღირებულება	172684.9	270037.33

13. მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები

დასახელება	31.12.2018 წ.	31.12.2017 წ.
სარეკლამო ხარჯი	29105.97	5961.82
საწვავი	16076.04	1787.89
ტრანსპორტირება	1706.25	930
სულ	46888.26	8679.71

14. სხვა ხარჯი

დასახელება	31.12.2018 წ.	31.12.2017 წ.
ბიოლოგიურ აქტივზე გაწეული ხარჯი	141644,82	0
სხვა არასაოპერაციო	47889,88	0
სულ	189534,7	

15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

დასახელება	31.12.2018 წ.	31.12.2017 წ.
ხელფასი	406460.73	177817.81
გადასახადები	33322.46	5254.15
კომუნალური ხარჯები	43306.81	27325.91
საკონსულტაციო	15784.26	0
ცვეთა და ამორტიზაცია	177072.4	35550.79
ბანკის მომსახურება	15437.91	828.61
რემონტი	1749.66	453.8
სამივლინებო	25595.87	1170
იჯარა	21619.37	63915.14
დაზღვევა	5407.07	0
სხვა(ოფისის და მომსახურება)	50148.73	13830.41
სულ:	795905.27	326146.62

16. რეალიზებული მზა პროდუქციის თვითღირებულება

დასახელება	31.12.2018 წ.	31.12.2017 წ.
საწყისი მარაგები	822721.58	802183.35
შესყიდვები	1479050.12	290575.56
საბოლოო მარაგები	2129086.8	822721.58
სულ თვითღირებულება	172684.9	270037.33

17. ფინანსური ხარჯი

დასახელება	31.12.2018 წ.	31.12.2017 წ.
საბანკო სესხების პროცენტი	66805.43	0
პარტნიორის სესხების პროცენტი	386130.19	9201.3
სხვა	471.61	38629.48
ლიზინგი	55583.87	0
ზარალი საკურსო სხვაობიდან	426158.05	117003.65
სულ:	935149.15	164834.43

18. მოგების გადასახადი

დასახელება	31.12.2018	31.12.2017
მიმდინარე გადასახადი		0
გადავადებული გადასახადი	147254,59	0

19. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად.

ფინანსური ვალდებულებები

დასახელება	გრძელვადიანი ვალდებულებები	მოკლევადიანი ვალდებულებები
2018 წლის დასაწყისში	0	1126802,95
სესხები	2007573,61	3558410,71
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		62359,25
2018 წლის ბოლოს	2007573,61	4747572,91

ფინანსური აქტივები

დასახელება	გრძელვადიანი აქტივები	მოკლევადიანი აქტივები
2018 წლის დასაწყისში	0	345209,26
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	0	-354,36
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	0	125162,84
გაცემული სესხები	0	0
2018 წლის ბოლოს		470017,74

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის მენეჯმენტმა დააფუძნა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ყოველ ახალ კლიენტს უკეთდება ანალიზი სანამ კომპანიის სტანდარტულ გადახდისა და მიტანის პირობებს შესთავაზებენ.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო. კომპანია ბალანსის შედგენის თარიღისთვის არ ელოდება რაიმე სახის დანაკარგებს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების გამო. საბაზრო რისკი ჩნდება იმის გამო, რომ კომპანია იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს უცხოურ ვალუტაში. არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება იქნება არამყარი საპროცენტო განაკვეთის (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და კურსთა შორის სხვაობის გამო.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტთან სესხებთან, ცვლადი საპროცენტო განაკვეთის გამო. კომპანიას არ აქვს რისკი, რომ საპროცენტო განაკვეთი გაიზარდოს, რადგან ყველა მიღებულ სესხზე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი აქვს.

დასახელება	31.12.2018 წ.	31.12.2017 წ.
საბანკო სესხები	2007573.61	0
პარტნიორის სესხები	4687701.42	1100314.45
სხვა	17831.94	46808.2
	6713106.97	1147122.65

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ვალუტის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. 2018 წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის აშშ დოლარსა და ევროზე მოქმედებდა შემდეგი გაცვლითი კურსი:

დასახელება	31 დეკემბერი 2018 წელი	31 დეკემბერი 2017 წელი
1 აშშ დოლარი/ლარი	2.6766	2.5922
1 ევრო/ლარი	3.0701	3.1044

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ორგანიზაციის მგრძნობელობას აშშ დოლარის და ევროს ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას მენეჯმენტის მიერ.

31 დეკემბერი 2018 წელი	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	ლარი/აშშ	ლარი/აშშ	ლარი/ევრო	ლარი/ევრო
	დოლარი +20%	დოლარი -20%	ევრო +20%	ევრო -20%
მოგება/ზარალი	896465,63	1012968,08		

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნა;

20. პირობითი ვალდებულება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია პირობითი ვალდებულებები

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა ისეთი მოვლენები, რომლებიც გავლენას იქონიბდნენ ფინანსურ ანგარიშგებაზე.